საპდესის ცნობა

1963 წლის 14 ივნისს 15 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანილია კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-5“, რომელსაც მართავს საბჭოთა კავშირის მოქალაქე კოსმონავტი მფრინავი პოდპოლკოვნიკი ამხანაგი ვალერი თევდორეს ძე ბიკოვსკი.

ახალი კოსმოსური ფრენის მიზნებია:

—ადამიანის ორგანიზმზე კოსმოსური ფრენის სხვადასხვა ფაქტორის გავლენის შესწავლის განგრძობა;

— გაფართოებული სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის განხორციელება ხანგრძლივი ფრენის პირობებში:

— კოსმოსური ხომალდის სისტემათა შემდგომი დამუშავება და სრულყოფა, რომელსაც მართავს პილოტი.

თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი-5“ გაყვანილია ორბიტაზე, რომელიც უახლოვდება გაანგარიშებულს, წინასწარი მონაცემებით, დედამიწის გარშემო თანამგზავრი ხომალდის ბრუნვის პერიოდი შეადგენს 88,4 წუთს, მინიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) და მაქსიმალური (აპოგეა) შესაბამისად უდრის 181 და 235 კილომეტრს, ორბიტის სიბრტყის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყისადმი დაახლოებით 65 გრადუსია. კოსმოსურ ხომალდთან „აღმოსავლეთი-5“ დამყარებულია განუწყვეტელი ორმხრივი რადიოკავშირი.

კოსმონავტი მფრინავის ამხანაგ ბიკოვსკის ცნობით, აგრეთვე ტელემეტრიული და სატელევიზიო სისტემების მონაცემებით, მან დამაკმაყოფილებლად გადაიტანა ორბიტაზე ხომალდის გაყვანის პერიოდი და უწონობის მდგომარეობაში გადასვლა. ამხანაგი ბიკოვსკი კარგად გრძნობს თავს.

კოსმონავტი მფრინავი ამხანაგი ბიკოვსკი თავის გადაცემებს აწარმოებს 20,006 და 143.625 მეგაჰერც სიხშირეზე.

ხომალდზე დადგმულია აგრეთვე გადამცემი „სიგნალი“, რომელიც მუშაობს 19.948 მეგაჰერც სიხშირეზე.

კოსმოსური ხომალდის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს.

ცნობებს ფრენის მიმდინარეობის შესახებ გადასცემს საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური.

15 ივნისი

შაბათი, 1963 წ.
№ 117 (2222)
გამოცემის მე-19 წელი
ფასი 3 კაპ.

ალამი დაეშვა

გუშინ ხელოვნების მუშაკთა სახლის საზაფხულო დარბაზში შედგა საქართველოს III სპარტაკიადის საზეიმო დახურვა. სადღესასწაულო ზეიმზე შეიკრიბნენ სპორტსმენთა დიდი რესპუბლიკური ფორუმის მონაწილენი. სხდომა გახსნა საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ. საზეიმო შეკრებაზე ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. მ. სირაძე და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. ზ. ა. კვაჭაძე.

სიტყვა ეძლევა სპარტაკიადის მთავარ მსაჯს ამხ. ვ. სამსონაძეს, რომელმაც დამსწრეთ გააცნო სპარტაკიადის ტექნიკური შედეგები.

შემდეგ საზეიმო ვითარებაში სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში გამარჯვებულ თბილისის კოლექტივს საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარემ ამხ. გ. სიხარულიძემ გადასცა გარდამავალი ჯილდო. ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გამოსულ აფხაზეთისა და აჭარის ნაკრებ კოლექტივებს.

სპარტაკიადის ალამი დაეშვა.

სპარტაკიადის შედეგები სპორტის ცალკეულ სახეობებში და სხვა ტექნიკური მაჩვენებლების სრული ნუსხა გამოქვეყნდება შემდეგ ნომერში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საკავშირო რეკორდი

ძალოსანთა შეჯიბრების პირველი დღის შემდეგ ტურნირზე რეკორდების ნამდვილი წვიმა წამოვიდა. უკვე მსუბუქ წონაში, სადაც უძლიერესი იყო თბილისელი ოსტატი გ. მკრტიჩიანი, აჭიმვაში (118 კგ) და სამჭიდში 365 კგ-ს მოგროვებით გაუმჯობესდა რესპუბლიკური რეკორდები. მეორე ადგილი მოიპოვა ბ. ჯეირანოვმა (წალკა) — 352,5 კგ. ოსტატი ბ. ინჯგია (თბილისი) მისთვის ერთობ მოკრძალებული შედეგით (335 კგ) მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ქვესაშუალო წონაში ტრიუმფალური იყო თბილისელ გ. კოჩიევის გამოსვლა. მან 130,5 კგ აჭიმა და გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი, მაგრამ 5 წუთის შემდეგ მას რეკორდი წაართვა თანაგუნდელმა ვ. სვინჩენკომ, რომელმაც 133 კგ-ს აწევა შეძლო. დაკარგული რეკორდის სანაცვლოდ გ. კოჩიევმა იერიში მიიტანა საკავშირო რეკორდზე აკვრაში და წარმატებასაც მიაღწია, მან აკრა 171,5 კგ და 0,5 კილოგრამით გააუმჯობესა ა. კურინოვის რეკორდი. კოჩიევმა სამჭიდში მოაგროვა 415 კილოგრამი. ესეც ახალი რესპუბლიკური რეკორდია. ამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილზე გამოვიდა სპორტკლუბ „გამარჯვების“ სპორტსმენი შ. კაცობაშვილი — 387,5 კგ. მესამე ადგილი წილად ხვდა რ. გასპარიანს (თბილისი). მან შეძლო აეჭიმა 105 კგ და გაეუმჯობესებინა ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი. სამჭიდში მისი შედეგია 367,5 კგ.

ბრძოლაში ჩაებნენ საშუალო წონის შტანგისტები. აქ უპირატესობა ქუთაისელი სპორტის ოსტატის კ. ქათამაძის (ავტოქარხანა) მხარეს იყო, რომელმაც სამჭიდში 400 კილოგრამი მოაგროვა და 10 კილოგრამით გაასწრო თბილისელებს ვ. რადიმაშვილსა (ნაკრები) და გ. აბდუშელიშვილს („გამარჯვება“). უფრო ნაკლები პირადი წონის გამო მეორე ადგილი მიეკუთვნა ვ. რადიმაშვილს.

ქვემძიმე წონაში ბრძოლა გამარჯვებისათვის ძირითადად თბილისელ ოსტატებს კ. ბაზაძესა და კ. მიმინოშვილს („გამარჯვება“) შორის გაიმართა. ბაზაძემ 410 კილოგრამის მოგროვებით სამჭიდში 5 კგ-ით აჯობა ძირითად კონკურენტს. ამ წონაში მესამე ადგილს დაეუფლა აფხაზეთის ნაკრების წევრი ე. შპეტიუკი — 375 კგ.

ხუთი სპორტსმენი გამოდიოდა პირველ მძიმე წონაში, რომელთა შორის ორი ოსტატი იყო. კ. ებრალიძისა (თბილისი) და დ. მუშკუდიანის („გამარჯვება“) ორთაბრძოლაში მუშკუდიანმა მოაგროვა 432,5 კგ და წინ გაუშვა ებრალიძე, რომელმაც 435 კგ-ით სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა. პ. ნიქაბაძემ (ქუთაისის ავტოქარხანა) დაიკავა მესამე ადგილი — 387,5 კგ.

მძიმე წონაში გ. სანიკიძემ („გამარჯვება“) პირველი ადგილი დაისაკუთრა — 427,5 კგ. გამარჯვებულს 2,5 კგ-ით ჩამორჩა მ. კალაშიანი. აღსანიშნავია, რომ მ. კალაშიანმა ორი ხელით აჭიმა 152,5 კგ და 1,5 კილოგრამით გააუმჯობესა თავისავე რესპუბლიკური რეკორდი. აჭარელი გ. სვეტლიჩი მესამე ადგილზე გამოვიდა — 367,5.

ამრიგად, ძალოსანთა ტურნირზე გაუმჯობესებულ იქნა ორი საკავშირო და 8 რესპუბლიკური რეკორდი. 7 სპორტსმენმა გაიმეორა ოსტატის შედეგი.

სამდღიანმა ტურნირმა გამოავლინა გამარჯვებულნი გუნდურ ჩათვლაშიც. ნაკრებ კოლექტივებს შორის ჩემპიონი გახდა თბილისის გუნდი. მომდევნო ადგილებზე არიან ქუთაისისა და აფხაზეთის კოლექტივები. საწარმოო კოლექტივების ტურნირი დამთავრდა „გამარჯვების“, ქუთაისის ავტოქარხნისა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტსმენთა უპირატესობით.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — საკავშირო რეკორდსმენი გ. კოჩიევი. აჭარის გუნდის წევრი ა. სურმანიძე, რომელმაც რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა მჩატე წონაში. ქვევით — მჩატე წონაში გამარჯვებული რ. დათიკაშვილი.

ანგარიშია 1:1

დაიწყო ევროპის ზონის მეოთხედფინალური მატჩი დევისის თასზე დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი მიმდინარეობს ლონდონიდან 100 მილზე დაშორებულ ზღვისპირა ქალაქ ისტბორნში, რომელიც დიდი ბრიტანეთის ჩოგბურთის ცენტრად ითვლება. მატჩის პირველ დღეს კორტზე გამოვიდნენ ა. მეტრეველი და მ. სანგსტერი. მ. სანგსტერს ინგლისელი სპეციალისტები ბრიტანეთის ჩოგბურთის იმედს უწოდებენ. მან იტალიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე მხოლოდ 5 პარტიის შემდეგ დათმო შეხვედრა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთან — ავსტრალიელ რ. ემერსონთან. მაისში მან სამ სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებაში მოიპოვა პირველი ადგილები, რომელთაგან აღსანიშნავია გამარჯვება ავსტრალიის მესამე ჩოგანთან — კ. ფლეტჩერთან — 7:9, 6:3, 6:8, 6:2, 6:2.

მეტრეველმა პირველ პარტიაში მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სანგსტერს, მაგრამ პარტია მაინც დათმო — 4:6. მან ამ საუკეთესო და გამოცდილ ჩოგბურთელთან შემდგომი ორი პარტია ერთნაირი ანგარიშით—3:6 წააგო და ანგარიში გახდა 1:0 ინგლისის ნაკრების სასარგებლოდ. მეორე შეხვედრა შედგა თ. ლეიუსსა და რ. უილსონს შორის. უილსონმა პირველად დიდი გამარჯვება მოიპოვა 1951 წელს იუნიორთა შეჯიბრებაზე, ხოლო შემდეგ 1955, 1957, 1960 და 1961 წლებში მონაწილეობა მიიღო დევისის თასის გათამაშებაში. სწორედ ასეთ ძლიერ და ტიტულირებულ ჩოგბურთელთან მოუხდა შეხვედრა ლეიუსს, რომელმაც დაამარცხა იგი 5:7, 6:4, 10:8, 6:4 და ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

გუშინ ჩატარდა წყვილთა შეხვედრა სანგსტერ-ნაიტსა და ლიხაჩოვ-ლეიუსს შორის. დღეს შედგება ერთეულთა შეხვედრები. მეტრეველი ხვდება უილსონს, ხოლო ლეიუსი — სანგსტერს.

ბათუმელთა გამარჯვება

ბათუმის დინამოელებმა თავიანთი ბოლო მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის პირველობაზე ჩაატარეს საკუთარ მინდორზე ქ. ზელცის „სტროიტელთან“.

ბათუმელებმა კარგად ითამაშეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 3:1.

ა. კრავჩენკო — უძლიერესი

ჩემპიონი უცვლელია

უკანასკნელ დღეს

შეჯიბრება სიურპრიზებით

სამჯერ პირველი

ზრდის ნიშნები

რბოლა ბეჯონის ოვალში

„მარათონულ" დისტანციაზე

გასწორება

საქართველოს სპარტაკიადა

რასაც მაყურებელი არ მოელოდა...

კიევი. რესპუბლიკური სტადიონი. 13 ივნისი.

„დინამო“ (კიევი)-„დინამო“ (თბილისი) — 5:1 (2:0).

თბილისი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, კალოევი, პეტრიაშვილი, მესხი.

კიევი: მაკაროვი, ზაბოლოტნი, ტურიანჩიკი, კოლცოვი, ლევჩენკო, საბო, ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, კანევსკი, ბიბა, ლობანოვსკი.

მსაჯი. კ. ანძიულისი (კაუნასი).

★

გასაგებია კიეველ ფეხბურთელთა ის უდიდესი მონდომება, რომელიც მათ გამოიჩინეს განვლილ მატჩში თბილისის დინამოელებთან. ბოლო ტურების სისტემატური წარუმატებლობა (4 მატჩში 3 დამარცხება და 1 ფრე) მასპინძლებს აიძულებდა გაეკეთებინათ ყველაფერი თავიანთი რეაბილიტაციისათვის მაყურებელთა წინაშე. და მართლაც, გუნდმა საუკეთესო თამაში აჩვენა. გუნდის ყოველი წევრი მოქმედებდა თავის შესაძლებლობათა ზღვარზე და კიევის „დინამო“ გამოიყურებოდა ისე, რომ მისი მატჩი თბილისელებთან შეიძლება ჩაითვალოს გუნდის პოტენციურ შესაძლებლობათა ნათელ დემონსტრაციად.

ეს იყო 13 ივნისის მატჩის ერთი მხარე — კიევის „დინამო“. რაც შეეხება მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს — თბილისის „დინამოს“, მისმა თამაშმა მაყურებლებზე დატოვა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, გაუგებრობის გრძნობა. ჩვენთვის, ვინც პირველად ნახა წელს თბილისელთა თამაში, წარმოუდგენელია ახსნა იმისა, თუ რა მოუვიდა გუნდს. დაცვაში აუწერელი ქაოსი და გაუგებრობა სუფევდა. თვით განთქმული „ტანდემიც“ კი, რომელიც ორი პირველხარისხოვანი მოთამაშის — ჩოხელისა და ხურცილავასაგან შედგება, აშკარად, ყოველგვარი ურთიერთგაგების გარეშე მოქმედებდა. განაპირა მცველთა თამაში მეტისმეტად პრიმიტიული იყო, ხოლო მეკარე კოტრიკაძეს ასე ალბათ არ უთამაშია თავისი მოღვაწეობის წლებშიც კი. უკეთეს შეფასებას არც თავდასხმა იმსახურებს. ზაბოლოტნიმ მესხთან ითამაშა ისე, რომ თვითონ მიიღო რამდენიმეჯერ მონაწილეობა თბილისელთა კარის იერიშებში. პასიურად გამოიყურებოდა მარჯვენა ფრთაზე მეტრეველი, ხოლო კალოევს, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ბრძოლაში.

პირველი გოლი გატანილ იქნა ჯერ კიდევ მე-3 წუთზე. ერთ-ერთმა კიეველმა 25 მეტრის მანძილიდან ნელა დაარტყა კარში. კოტრიკაძემ ვერ შეძლო შეეჩერებინა სრულიად მარტივი ბურთი, გაუშვა იგი ხელიდან და საშუალება მისცა ბაზილევიჩს გაეხსნა ანგარიში. 10 წუთის შემდეგ სერებრიანიკოვმა ბაზილევიჩისაგან მიიღო გადაცემა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნის ცენტრში. სტუმრების დაცვამ მას აბსოლუტურად თავისუფალი თამაშის საშუალება მისცა, რაც დაუყოვნებლივ იქნა გამოყენებული ფორვარდის მიერ — 2:0. თბილისელთა უსისტემო თამაშში არავითარი გარდატეხა არ მომხდარა შესვენების შემდეგაც და კანევსკის, ბაზილევიჩისა და ლობანოვსკის მიერ გატანილ იქნა კიდევ 3 ბურთი. ერთადერთი გოლი გაქვითა ბარქაიამ 54-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 3:0.

• • •

სტუმრებმა წააგეს დუბლიორთა მატჩიც — 0:1.

პ. ვისოცკი.

კიევი, „რადიანსკი სპორტი“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ივნისისათვის

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (მოსკოვი)	14	8	6	0	16—2	22
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	14	8	3	3	18—10	19
„დინამო“ (თბილისი)	14	7	4	3	23—14	18
ცსკა	14	5	8	1	10—4	18
სკა (როსტოვი)	13	7	3	3	18—9	17
„ტორპედო“ (ქუთაისი)	14	5	7	2	10—7	17
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	13	5	5	3	17—16	15
„დინამო“ (მინსკი)	13	4	7	2	14—13	15
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	14	6	2	6	21—17	14
„დინამო“ (კიევი)	14	5	4	5	21—17	14
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	14	3	8	2	11—8	14
„კაირატი“ (ალმა-ატა)	14	6	2	6	13—16	14
„ტორპედო“ (მოსკოვი)	14	4	5	5	14—18	13
„შახტიორი“ (დონეცკი)	14	3	6	5	6—10	12
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	14	4	4	6	10—15	12
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	14	4	3	7	18—18	11
„არარატი“ (ერევანი)	14	4	3	7	17—19	11
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	14	1	8	5	10—18	10
„დინამო“ (ლენინგრადი)	14	0	6	8	6—22	6
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	14	1	2	11	12—32	4

• • •

„არარატი“ (ერევანი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 5:1

„ავანგარდი“ (ხარკოვი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 0:0

„ტორპედო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (ლენინგრადი) — 1:1.

„ზენიტი“ (ლენინგრადი)-„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 0:0

სკა (როსტოვი)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 1:0.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„კაირატი (ალმა-ატა) — 1:1

★

კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 13 ივნისი.

„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„ტორპედო“ (ქუთაისი) — 0:0.

„ტორპედო“: ურუშაძე, ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი, კუტივაძე, ნიშნიანიძე, ხაჟალია, ხუნდაძე, სირაძე, ხიამაშვილი, ჩხარტიშვილი (ხერხაძე).

„მოლდოვა“: ვებერი, აფონინი, კოლბასიუკი, ზელენიაევი, მარარიცა, კოვაჩი, ტატუშინი, მირონოვი, გუსევი, ცინკლერი (შიმანოვიჩი), მოლოჩკოვი.

მსაჯი. პ. ბელოვი (ლენინგრადი).

★

ქვეშ, თუმცა, ისინი არ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს, ვინაიდან მათი თავდამსხმელები ხშირად მიმართავდნენ განივ გადაცემებს და მხოლოდ სირაძე და ხაჟალია გადიოდნენ სახიფათო პოზიციაში კარის წინ.

დაახლოებით ასეთივე სურათი იყო მეორე ტაიმშიც, მაგრამ მატჩის ბოლო წუთებზე ტორპედოელებმა უცბათ მოუმატეს ტემპს. ამ მცირე დროის განმავლობაში „მოლდოვას“ კარი არაერთხელ აღმოჩნდა უშუალო საშიშროების წინაშე, მაგრამ, ეტყობა, ქუთაისელთა ენთუზიაზმმა დაიგვიანა და კიშინიოველთა კარი ხელშეუხებელი დარჩა შეხვედრის დასასრულამდე.

კიშინიოვის „მოლდოვასა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ დუბლშემადგენლობათა მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

პ. მარიცა.

კიშინიოვი.

ქუთა ემატება ქუთას

ქუთაისის ტორპედოელებს კიშინიოველი ფეხბურთის მოყვარულნი საკმაოდ კარგად იცნობენ. სწორედ ამ ქალაქში, მათი თანდასწრებით მოიპოვეს ქუთაისელებმა ორი წლის წინ „ა“ კლასში თამაშის უფლება. დღეს კი ქუთაისის „ტორპედო“ მოლდავეთის დედაქალაქში ჩამოვიდა უკვე არა როგორც „ა“ კლასის მაძიებელი, არამედ სსრ კავშირის ჩემპიონატის ლიდერთა შორის მყოფი გუნდი.

კიშინიოველმა ფეხბურთელებმა განვლილ მატჩში რამდენადმე შეცვალეს თავიანთი თამაშის ტრადიციული ტაქტიკა. გუნდმა თავიდანვე ხელთ აიღო ინიციატივა მინდვრის შუაგულში და სწრაფი, ენერგიული მოქმედებებით სცადა მასირებული იერიში მიეტანა მოპირდაპირე კარზე, მაგრამ ეს მანევრი ქუთაისელთა კარგად ორგანიზებული დაცვის წინაშე უნაყოფო გამოდგა. გავიდა მცირე ხანი და სწორედ შუა მინდორი აღმოჩნდა ტორპედოელთა აქტიური კონტროლის

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

I ქვეჯგუფი

„ცისკარი“ (ცხაკაია)-„სალხინო“ (გეგეჭკორი) — 2:3. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ეს იყო გამოტოვებული შეხვედრა, რომელიც სტუმრებმა საუკეთესოდ ჩაატარეს. მათ თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)-„მეშახტე“ (ტყიბული) — 1:0. მსაჯი კ. ყრუაშვილი (თბილისი).

მატჩი დიდ ინტერესს იწვევდა იმის გამო, რომ ორივე გუნდი ლიდერთა შორის იმყოფება. მოწინააღმდეგეებმა აჩვენეს კარგი მომზადება და თანაბარ ბრძოლაში დამსახურებულ გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა, რომლებმაც გადამწყვეტი ბურთის გატანა შეძლეს ჯერ კიდევ პირველ ტაიმში.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი)-„დილა“ (გორი) — 0:1. მსაჯი ვ. რაზმაძე (თბილისი).

გუნდებმა ძალების სრული დაძაბვით ჩაატარეს მატჩი. სტუმრებმა ტაიმის დასასრულს გაიტანეს გოლი, რომლის გაქვითვას მასპინძლები ამაოდ ცდილობდნენ მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში. ამ მატჩში დანიშნული იყო ორი პრიზი საუკეთესო თავდამსხმელისა და საუკეთესო მცველისათვის. პირველი პრიზი მიიღო „მეტალურგის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ტოგონიძემ, ხოლო მეორე — გორელთა მცველმა გაბელიამ.

„გვირაბმშენი“ (თბილისი)-„მერცხალი“ (მახარაძე) — 1:4. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).

მახარაძელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს თამაში და სავსებით დამსახურებულად დაამარცხეს მოწინააღმდეგე მისივე მინდორზე — 4:1. „გვირაბმშენის“ მოთამაშეებმა კიდევ ერთხელ „გამოიჩინეს“ თავი იმით, რომ უწესოდ იქცეოდნენ მინდორზე, გაუთავებლად ეკამათებოდნენ როგორც ერთმანეთს, ისე მსაჯსაც, რომელმაც ვერ შეძლო სათანადო წესრიგის დამყარება.

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-„გურია“ (ლანჩხუთი) — 0:4. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).

აღნიშნული შეხვედრაც გამოტოვებული იყო კალენდარში. ლანჩხუთის გუნდი ყველა რგოლში ჯობდა თავის მოწინააღმდეგეს და მონდომებულმა თამაშმა მას მოუტანა გამარჯვება დიდი ანგარიშით — 4:0.

„ნადიკვარი“ (თელავი)-„სალხინო“ (გეგეჭკორი) — 2:2. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

პირველი ტაიმი გეგეჭკორელთა საგრძნობი უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე სასარგებლოდ დამთავრდა — 2:0. შემდგომში მასპინძლებმა მთლიანად გარდაქმნეს თამაში და შეძლეს ორივე საპასუხო ბურთის გატანა — 2:2.

„იმერეთი“ (ქუთაისი)-„განთიადი“ (ბათუმი) — 7:1. მსაჯი კ. ლოგინოვი (თბილისი).

მატჩის ანგარიში ზედმეტ კომენტარებს არ საჭიროებს. ქუთაისელებმა სრული უპირატესობით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს კიდეც.

„ცისკარი“ (ცხაკაია)-„მექანიზატორი“ (ფოთი) — 6:0. მსაჯი ზ. თოდაძე (ქუთაისი).

ანალოგიურად მიმდინარეობდა მატჩი ცხაკაიაშიც, სადაც „ცისკარმა“ „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხა „მექანიზატორი“ — 6:0.

„მაღაროელი“ (ჭიათურა)-„მეტალურგი“ (რუსთავი) — 2:1. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).

„მაღაროელს“ ფაქტიურად გამარჯვება მოუტანა პირველმა ტაიმმა, რომელიც მან მოიგო ანგარიშით 2:0. შესვენების შემდეგ „მეტალურგს“ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა. საკმარისია ითქვას, რომ მასპინძელთა კარი სამჯერ იხსნა ძელმა აშკარა გოლისაგან. და მაინც გამარჯვება დარჩათ ჭიათურელებს — 2:1.

II ქვეჯგუფი

„დინამო“ (სოხუმი)-„შუქურა“ (ჩაქვი) — 1:0. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

მატჩი მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. მასპინძლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები და მეორე ტაიმში გადამწყვეტი გოლიც გაიტანეს.

„სპარტაკი“ (ცხინვალი)-„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — 1:2. მსაჯი დ. შკუროვი (თბილისი).

ანგარიში სპარტაკელებმა გახსნეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით, მაგრამ „ლოკომოტივმა“ აქტიურად ჩაატარა დარჩენილი დრო და შეძლო გამარჯვების მოპოვება — 2:1.

„მესხეთი“ (ახალციხე)-„განთიადი“ (ბორჯომი) — 2:0. მსაჯი ნ. კონდახსაზოვი (თბილისი).

პირველივე წუთებიდან ნათელი შეიქნა, რომ ახალციხელები აგრესიულად იყვნენ განწყობილი. მათ დიდი დატვირთვით ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს კიდეც.

„ისანი“ (თბილისი) - „კახეთი“ (გურჯაანი) — 2:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

ტერიტორიული უპირატესობა დასაწყისში სტუმართა მხარეს იყო, მაგრამ ბურთის გატანა მათ ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, თბილისელებმა გეგმიანად ჩაატარეს მეორე ტაიმი და ორჯერ აიძულეს მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

„სინათლე“ (თბილისი)-„გურია“ (ლანჩხუთი) — 2:1. მსაჯი გ. აკობაშვილი (თბილისი).

მაყურებლები კმაყოფილნი დარჩნენ ამ საინტერესო, შინაარსიანი თამაშით. მართალია, პირველი ბურთი თბილისელებმა საკუთარ კარში მიიღეს, მაგრამ შემდგომში მათ ჯერ გაქვითეს გოლი, ხოლო მალე გადამწყვეტი ბურთიც გაიტანეს — 2:1. კარგად ჩაატარა მატჩი გ. აკობაშვილმა.

საქართველოს სსრ 1963 წლის ზონალური პირველობის კალენდარი

15 ივნისი

„კოლხიდმშენი“ (ლანჩხუთი)-ციტრუსების სახ. მეურნეობა (ხეთა), „ლაითური“ (მახარაძე)-„ავანგარდი“ (ზუგდიდი).

16 ივნისი

„აბული“ (ახალქალაქი)-აწყურის სახ. მეურნეობა (ახალციხე), „კარიერ სამმართველო“ (მარნეული)-„არხმშენი“ (საგარეჯო), მევენახეობის სახ. მეურნეობა (ახმეტა)-„ქიზიყი“ (სიღნაღი), „კოლმეურნე“ (ქისტაური)-„კოლმეურნე“ (გურჯაანი), „არაგვი“ (დუშეთი)-სავეჯო ფ-კა (ახალდაბა), „კოლმეურნე“ (ქარელი)-„განთიადი“ (კასპი), „იორი“ (თიანეთი)-საკონსერვო ქ-ნა (თეთრი წყარო), „საირმე“ (მაიაკოვსკი)-„მოდინახე“ (საჩხერე), „კოლმეურნე“ (ამბროლაური)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული), „წინსვლა“ (წულუკიძე)-„ხვამლი“ (ცაგერი), „ბახმარო“ (ჩოხატაური)-„სამეგრელო“ (ზუგდიდი), „ცისარტყელა“ (აბაშა)-„განთიადი“ (სამტრედია).

რედაქტორი ი. უგულავა.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი

16 ივნისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა. „ბ“ კლასი

„ლოკომოტივი“ (თბილისი)-„კოლხიდა“ (ფოთი)

დასაწყისი 18 საათზე.

ЛЕЛО ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-36-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05975